

# პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა

## 1. მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მიზანი

წინამდებარე პოლიტიკის მიზანია განვმარტოთ თუ როგორ ამუშავებს ცენტრი თქვენს პერსონალური მონაცემებს, რა ზომებს მივმართავთ მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ასევე მოვანლოთ ინფორმაცია თქვენი უფლებების შესახებ.

მონაცემთა დამუშავების უფრო სპეციფიური პირობები შესაძლოა ასევე გათვალისწინებული იყოს ცალკე შეთანხმებ(ებ)ით. თუ გაქვთ შეკითხვები წინამდებარე პოლიტიკასთან დაკავშირებით, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ელ. ფოსტაზე - [info@ccl.ge](mailto:info@ccl.ge)

## 2. ვინ ვართ ჩვენ

ინდივიდუალური მენარმე სამართლებრივი ენის ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“, „ჩვენ“) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ მენარმე სუბიექტს და თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებისათვის პასუხისმგებელ პირს.

საიდენტიფიკაციო ნომერი: 01018005801

მისამართი: თბილისი, ისნის რაიონი, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირი N47-49/ბოჭორმის ქუჩა N8, სადარბაზო 4,სართული 6,ბინა N123

საკონტაქტო ინფორმაცია: +995 551 28 00 26.

## 3. მონაცემთა დაცვის პოლიტიკის გავრცელების სფერო და ცვლილება

წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება პირზე, რომელიც სარგებლოს ცენტრის პროდუქტითა და მომსახურებით, ასევე პირზე, რომელიც რაიმე ფორმით დაკავშირებულია ცენტრთან, ცენტრის პროდუქტსა და სერვისთან, მათ შორის იმ პირებზე, რომლებიც ცენტრთან კომუნიკაციას ახდენენ სხვადასხვა არხის მეშვეობით, როგორცაა ელექტრონული ფოსტა, ვებგვერდი, ან ცენტრის სოციალურ მედია გვერდები (მაგალითად, Facebook, Instagram).

წინამდებარე პოლიტიკა, შესაძლოა, დროდადრო განახლდეს. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ მას გაეცნოთ რეგულარულად. წინამდებარე პოლიტიკის უახლესი ვერსია ხელმისაწვდომია ცენტრის ვებგვერდზე: [www.ccl.ge](http://www.ccl.ge)

## 4. მონაცემთა დამუშავების ფარგლები

ცენტრთან ურთიერთობის პერიოდში, ასევე მისი დასრულების შემდგომაც, ცენტრი უფლებამოსილია, წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული მიზნებით, განახორციელოს თქვენ შესახებ ინფორმაციის,

მათ შორის თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება. ცენტრი ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს იმ მიზნით, რაც მიზნითაც შეგროვდა. ცენტრი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ეყრდნობა სამართლიანობის, კანონიერებისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

## 5. რა მონაცემებს ვამუშავებთ

ცენტრი იყენებს სხვადასხვა ტიპის პერსონალურ ინფორმაციას, რომლის დაჯგუფებაც შეგვიძლია შემდეგ კატეგორიებად, რომელიც მოიცავს თუმცა შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს ქვემოთ მოცემული მონაცემებით.

შენიშვნა: ცენტრთან თქვენი ურთიერთობის ხასიათის და მონაცემთა დამუშავების კონტექსტისა და მიზნის გათვალისწინებით, ჩვენ შეიძლება დავამუშავოთ შესაბამის კატეგორიაში (კატეგორიებში) მითითებული ყველა ან მხოლოდ ზოგიერთი მონაცემი:

- **საიდენტიფიკაციო** - თქვენი სახელი, გვარი, პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი, დაბადების თარიღი,
- **საკონტაქტო** - თქვენი ელექტრონული ფოსტა, მობილური და ქალაქის ტელეფონის ნომრები,
- **აუდიო-ვიზუალური** - მაგალითად, როგორცაა ონლაინ ფორმატის გაკვეთილის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი,
- **მარკეტინგული** - მოიცავს ინფორმაციას იმის თაობაზე თუ რას ანიჭებთ უპირატესობას ჩვენგან მარკეტინგული შეტყობინებების მიღებისას, ასევე კომუნიკაციის თქვენთვის სასურველ ფორმას, ინფორმაციას იმის შესახებ გამოიყენეთ თუ არა პირდაპირ მარკეტინგზე დათანხმების/უარის თქმის მექანიზმი.
- **ლოკუმენტური** - სხვადასხვა ფორმატის დოკუმენტებსა თუ მათ ასლებში თქვენ შესახებ დაკული ინფორმაცია, მაგალითად, თქვენი პირადობის მოწმობა, სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა, და სხვ.

დამატებით, ჩვენ შესაძლოა დავამუშავოთ ნებისმიერი სხვა მონაცემი, რომელიც უკავშირდება მონაცემთა სუბიექტს და რის შედეგადაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება, წინამდებარე პოლიტიკის შესაბამისად.

## 6. რა გვჭირდება თქვენგან

თქვენ პასუხისმგებელი ხართ დარწმუნდით, რომ თქვენ მიერ ჩვენთვის მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და განახლებული. თუკი თვლით, რომ თქვენ შესახებ არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა გვაცნობოთ ამის შესახებ.

## 7. თქვენ მიერ პერსონალური მონაცემების მოუწოდებლობის შედეგები

როდესაც თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვება აუცილებელია ჩვენი სერვისისა ან პროდუქტით სარგებლობისთვის ან აუცილებელია კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვის მიზნით, ხოლო თქვენ, მოთხოვნის მიუხედავად, არ მოგვანჭდით აღნიშნულ მონაცემებს, ჩვენ შეიძლება მოკლებულნი ვიყოთ შესაძლებლობას შევიდეთ ან განვახორციელოთ მოთხოვნილი სამართლებრივი ურთიერთობა (მაგალითად, შესაბამისი პროდუქტის ან სერვისის თქვენთვის მიწოდება).

## **8. როგორ ვაგროვებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს**

წინამდებარე სექციაში განვიმარტავთ იმ ძირითად წყაროებს, საიდანაც მოვიპოვებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს.

**მონაცემების შეგროვება უშუალოდ თქვენგან, მაგალითად, როდესაც:**

- მოგვმართავთ პროდუქტისა თუ სერვისის მისაღებად ან გამოხატავთ ინტერესს ცენტრის პროდუქტებსა და სერვისებთან დაკავშირებით
- ავსებთ ცენტრის კურსების ან სხვა სახის ღონისძიების რეგისტრაციის ფორმას
- ჩვენთან ურთიერთობით სატელეფონო ზარების, ჩვენი ვებგვერდის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ონლაინ ჩათით, სოციალური მედიით და სხვა არხებით;
- აფიქსირებთ თქვენს სურვილებს პირდაპირი მარკეტინგული შეთავაზებების ნაწილში;
- მონაწილეობას იღებთ კონკურსსა თუ გამოკითხვაში და სხვა;
- გვანჭდით თქვენს პერსონალურ მონაცემებს სხვა ნებისმიერი ფორმით და მიზნით.

**მონაცემთა შეგროვება მესამე პირ(ებ)ისგან**, კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლებით, მათ შორის, სადაც საჭიროა თქვენი თანხმობით, ცენტრმა, შესაძლოა, თქვენ შესახებ ინფორმაცია მოიპოვოს გარე წყაროებიდან ცენტრის მომსახურების სრულყოფილად განხორციელებისა და თქვენი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

## **9. რა მიზნებით შეიძლება დავამუშავოთ თქვენი პერსონალური მონაცემები**

თქვენთან ურთიერთობის ხასიათისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა მიზნით და სამართლებრივი საფუძვლებით, მათ შორის:

**მიზანი: თქვენი იდენტიფიკაცია/ვერიფიკაცია, ცენტრის პროდუქტების და სერვისების მიწოდება**

საფუძველი: (ა) თქვენი თანხმობა (ბ) სარეგისტრაციო ფორმის შევსება; (გ) ჩვენი კანონისმიერი ვალდებულება; (დ) ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი, მათ შორის: ეფექტურად შევასრულოთ სამართლებრივი ვალდებულებები.

**მიზანი: მარკეტინგული სტრატეგიის წარმართვა** - მაგალითად, ჩვენ შესაძლებელია გამოვიყენოთ თქვენი პერსონალური მონაცემები იმისათვის, რომ მოგანოდოთ ის ინფორმაცია, რომელიც ვფიქრობთ თქვენთვის საინტერესოა; გამოვიყენოთ თქვენგან მიღებული უკუკავშირი ჩვენს პროდუქტებსა და სერვისებთან დაკავშირებით, რათა გავაუმჯობესოთ ჩვენი შეთავაზებები, ასევე გავითვალისწინოთ თქვენი სურვილები მარკეტინგულ კომუნიკაციასთან დაკავშირებით. ამისათვის, როგორც წესი, შეიძლება დაგვჭირდეს სარეგისტრაციო მონაცემების დაკავშირებული, მარკეტინგული და ინტერაქციული მონაცემები.

საფუძველი: (ა) თქვენი თანხმობა, საჭიროების შემთხვევაში; (ბ) ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი, მათ შორის: განვაჯობოთ პროდუქტები/სერვისები და გავზარდოთ ჩვენი ბიზნესი, განვსაზღვროთ ჩვენი პროდუქტებისა და სერვისების მომხმარებელთა კატეგორიები და აღნიშნულის შესაბამისად განვახორციელოთ მარკეტინგული აქტივობები, უზრუნველვყოთ თქვენი ინფორმირება შესაბამის პროდუქტებსა და მომსახურებასთან დაკავშირებით.

**მიზანი: ჩვენი ლეგიტიმური უფლებების დაცვა** - შეიძლება დაგვჭირდეს თქვენი ინფორმაციის გამოყენება იმისათვის, რომ დავიცვათ ჩვენი კანონიერი უფლებები, მაგალითად, სასამართლოში საქმისწარმოება, საჩივრებზე რეაგირება, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.

საფუძველი: (ა) ჩვენი კანონისმიერი ვალდებულება; (ბ) ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი, მათ შორის: ეფექტურად შევასრულოთ სამართლებრივი და სახელშეკრულებო ვალდებულებები, განვაჯობოთ პროდუქტები/სერვისები, გავზარდოთ ჩვენი ბიზნესი; უზრუნველვყოთ საჩივრების შესწავლა, დავიცვათ ჩვენი ბიზნეს ინტერესები.

**მიზანი: ანალიტიკა და ანგარიშგება** - ჩვენ ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს რაც გვეხმარება პროდუქტებსა და სერვისებთან მიმართებით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, გარდა ამისა, მონაცემთა დამუშავება საჭიროა ცენტრის, როგორც ანგარიშვალდებულ პირზე, დაკისრებული სხვა მოვალეობის შესასრულებლად.

საფუძველი: (ა) ჩვენი კანონისმიერი ვალდებულება; (ბ) ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი, მათ შორის: ეფექტურად შევასრულოთ სამართლებრივი და სახელშეკრულებო ვალდებულებები, განვაჯობოთ პროდუქტები/სერვისები, გავზარდოთ ჩვენი ბიზნესი.

## 10. ვის გადავცემთ თქვენ პერსონალური მონაცემებს

იმისათვის, რომ შეასრულოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობები, დაიცვას ლეგიტიმური ინტერესები, ასევე სრულად და ჯეროვნად განახორციელოს თქვენი მომსახურება, უზრუნველყოს თქვენი პროფესიული მხარდაჭერა, მონაცემთა დამუშავების კონტექსტისა და მიზნებიდან

გამომდინარე, ცენტრმა შესაძლოა თქვენ შესახებ ინფორმაცია გადასცეს მესამე პირებს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

## 11. პირდაპირი მარკეტინგი

ჩვენი სურვილია უზრუნველვყოთ თქვენთვის არჩევანის საშუალება თქვენი პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგისა და რეკლამირების ფარგლებში გამოყენებასთან დაკავშირებით.

ცენტრი უფლებამოსილია ცენტრის მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისად, დაამუშავოს თქვენი პერსონალური მონაცემები თქვენთვის ცენტრის პროდუქტების, მომსახურების, აქციების და სხვ. პირდაპირი და უშუალო შეთავაზება/ინფორმაციის მიწოდება (პირდაპირი მარკეტინგი).

პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემების დამუშავებაზე თქვენი თანხმობა საკვალდებულოა. ამასთან, პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის არარსებობის შემთხვევაში ცენტრი მოკლებული იქნება შესაძლებლობას განახორციელოს თქვენზე მორგებული მომსახურების/პროდუქტების შეთავაზება ზემოაღნიშნული პირობებით.

## უარის თქმა პირდაპირ მარკეტინგზე

თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გაითხოვოთ თანხმობა და მოითხოვოთ პირდაპირი მარკეტინგული ხასიათის შეტყობინებების თქვენთვის ელექტრონული ფოსტით, მობილურ ტელეფონის ნომერზე ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის შეწყვეტა. ამისათვის, შეგიძლიათ მოგვმართოთ ელ. ფოსტაზე - [info@ccl.ge](mailto:info@ccl.ge), ტელეფონის ნომერზე - 995 551 28 00 26, ან ცენტრის სოციალურ ქსელებზე.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის საფუძველზე შეწყდება მხოლოდ სარეკლამო ხასიათის ელექტრონული კომუნიკაციები. თქვენთან დაკავშირება ცენტრში დაცული საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით გაგრძელდება ცენტრსა და თქვენ შორის ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ საკითხებთან დაკავშირებით.

## 12. ვიდეო და აუდიო მონიტორინგი

ცენტრის გაკვეთილის სრულყოფილად ათვისების მიზნით, შესაძლებელია განხორციელდეს ონლაინ გაკვეთილის აუდიო და ვიდეო ჩანწერა, რაზეც წინასწარ გაიცემა თანხმობა გაკვეთილზე დამსწრე ყველა პირის მიერ. ჩანაწერი არ გადაეცემა მესამე პირებს. ჩანაწერი ნაღვერდება სასწავლო კურსის დასრულებისთანავე.

### 13. არასრულწლოვნების მონაცემთა დამუშავება

18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებმა, რომელთაც აქვთ სურვილი ისარგებლონ ჩვენი მომსახურებით, უნდა წარმოადგინონ თავიანთი კანონიერი წამომადგენლებისაგან (მშობელი/კანონიერი მზრუნველი) თანხმობა მათი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისისა.

### 14. საავტორო უფლებები

ცენტრის ვებ-გვერდზე და სხვა ელექტრონულ არხებში განთავსებული თქვენი მონაცემები (ბეჭდვითი, აუდიო ან/და ვიზუალური) თუ ის არ განეკუთვნება თქვენ პერსონალურ მონაცემებს ჩაითვლება ცენტრის საკუთრებად და ცენტრი აღნიშნული მონაცემების განთავსებისთანავე სრულად მოიპოვებს მათზე საავტორო ქონებრივ უფლებებს.

### 15. მონაცემთა უსაფრთხოება და შენახვის ვადა

ჩვენ დავწვდებით შესაფერისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, იმისათვის რომ დავიცვათ თქვენი პერსონალური მონაცემები არასანქცირებული წვდომის, უკანონო დამუშავების ან გამოღაცემის, შემთხვევითი დაკარგვის, შეცვლის ან განადგურებისაგან. თქვენს პერსონალურ მონაცემებზე ხელი მიუწვდება მხოლოდ ცენტრის ხელმძღვანელს. იმ შემთხვევაში თუ ცენტრი განახორციელებს მონაცემების მესამე პირებისათვის გადაცემას, მათ შორის, ინფორმაციის სხვა ქვეყნის რეზიდენტი პირ(ებ)ისათვის გადაცემას, ცენტრი უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა გადაცემის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებას, რომლითაც კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, განისაზღვრება მიმღები მხარის ვალდებულებები თქვენი პერსონალურ მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად.

ჩვენ შევინახავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც საჭიროა იმ მიზნების მისაღწევად, რისთვისაც აღნიშნული მონაცემები შეგროვდებოდა. ჩვეულებრივ, ჩვენ შევინახავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს 5 (ხუთი) წლის განმავლობაში იმ მომენტიდან როდესაც შეწყვეტთ ჩვენთან საქმიან ურთიერთობას. აღნიშნული საშუალებას მოგვცემს დავიცვათ საკანონმდებლო და რეგულაციური მოთხოვნები ან გამოვიყენოთ მონაცემები ლეგიტიმური მიზნებისათვის. ჩვენ შესაძლებელია დაგკავშირდეს თქვენი მონაცემების შენახვა უფრო ხანგრძლივი პერიოდით, თუ აღნიშნული აუცილებელია სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

## 16. თქვენი უფლებები

კანონი განიჭებთ შემდეგ უფლებებს, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

**მონაცემთა დამუშავების შესახებ ინფორმაციის და ასლის მიღების უფლება** - თქვენ გაქვთ უფლება იყოთ ინფორმირებული თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და გამოყენების შესახებ. ეს ნიშნავს, რომ მოთხოვნისამებრ, ჩვენ უნდა მოგაწოდოთ დეტალები იმის თაობაზე, თუ რომელ პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ, რა მიზნით და საფუძვლით, როგორ ვაგროვებთ, რა ვადით ვინახავთ, ვის გადავცემთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს და ა.შ. წინამდებარე მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი ამის მაგალითია. თქვენ, ასევე უფლება გაქვთ, მიიღოთ ცენტრისგან იმ პერსონალური მონაცემების ასლი, რომელიც მუშავდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შეგუების უფლება** - თუ ცენტრის მიერ დამუშავებული თქვენი მონაცემები არასწორი, არასრული ან არაზუსტია, თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შეგუება და მოგვანდოთ ამისათვის აუცილებელი ინფორმაცია.

**მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება** - თქვენ უფლება გაქვთ მოგვთხოვოთ თქვენ შესახებ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება.

**მონაცემთა დაბლოკვის უფლება** - თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ მონაცემთა დაბლოკვა (დამუშავების შეზღუდვა), როდესაც პერსონალური მონაცემების სიზუსტე სადავოა თქვენი მხრიდან ან ითხოვთ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას, იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს გადავამოწმოთ პერსონალური მონაცემების სიზუსტე და განვიხილოთ მოთხოვნა; როდესაც დამუშავება უკანონოა, თუმცა, თქვენ უარს აცხადებთ პერსონალური მონაცემების წაშლაზე და, სანაცვლოდ, ითხოვთ მონაცემების დაბლოკვას; ცენტრს აღარ ესაჭიროება პერსონალური მონაცემები დამუშავების მიზნებისთვის, მაგრამ მონაცემები გჭირდებათ საჩივრის/სარჩელის წარსადგენად; როდესაც არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა.

**თანხმობის გამოსმობის უფლება** - თანხმობის გათხოვა შეგიძლიათ ნებისმიერ დროს, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. გამოთხოვის უფლების რეალიზაცია მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც დამუშავების საფუძვლი არის თქვენი თანხმობა. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თანხმობის გამოსმობა არ იწვევს თანხმობის გამოსმობამდე და თანხმობის თარგმლებში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას. ამასთან, თანხმობის გათხოვის შემთხვევაში, ჩვენ, შესაძლოა, მოკლებულნი ვიყოთ შესაძლებლობას, სრულყოფილად გაგინიოთ მომსახურება.

**გასაჩივრების უფლება** - თუ თვლით, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები მუშავდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, უფლება გაქვთ მიმართოთ საქართველოს

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. მეტი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ სამსახურის ვებგვერდს <https://personaldata.ge/>.

### **16.1. როგორ დაგვიკავშირდეთ**

თქვენი უფლებების რეალიზაციის მიზნით შეგიძლიათ პირდაპირ დაგვიკავშირდეთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: [info@ccl.ge](mailto:info@ccl.ge)

### **16.2. საფასურის გადახდა როგორც წესი არ მოითხოვება**

თქვენ არ მოგიწევთ რაიმე საფასურის გადახდა თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წდომის ან სხვა სამართლებრივი უფლებების გამოყენებისათვის, გარდა კანონდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა (მაგალითად, თუ საფასური გათვალისწინებულია კანონმდებლობით). მონაცემთა სუბიექტის მიერ მოთხოვნების არაგონივრული სიხშირით წარდგენის შემთხვევაში ცენტრი ასევე უფლებამოსილია უარი განაცხადოს მის შესრულებაზე.

### **16.3. პასუხის გაცემის ვადა**

ყველა თქვენს სამართლებრივ მოთხოვნაზე ჩვენ რეაგირებას განვახორციელებთ კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში.